ხაშურის მოამბე

№9 (480) 17 მარტი, ორშაბათი, 2025 წელი

ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის ბრძანება: #ბ 840506916

10/03/2025

ხაშურის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილის თანამდებობაზე გიორგი პაპიაშვილის დანიშვნის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 54-ე მუხლის პირველი პუნქტის "ა.გ" ქვეპუნქტის, 57-ე მუხლის პირველი პუნქტის, 61-ე მუხლის მესამე პუნქტის "ა" ქვეპუნქტის, ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 4 დეკემბრის №47დადგენილების "ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და სხვა საჯარო მომსახურეთა საშტატო ნუსხის დამტკიცებისა და თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრის შესახებ" შესაბამისად და გიორგი პაპიაშვილის 2025 წლის 10 მარტის №19/842506931 განცხადების საფუძველზე,

ვბრძანებ:

ხაშურის მერის პირველ მოადგილედ დაინიშნოს გიორგი პაპიაშვილი 2025 წლის 10 მარტიდან;

ბრძანება ეცნობოს გიორგი პაპიაშვილს;

ბრძანება ეცნობოს ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველად სტრუქტურულ ერთეულებს;

ბრძანება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე და შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ დადგენილი წესით ხაშურის რაიონულ სასამართლოში (ხაშური, კოსტავას ქ.№15) მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

თენგიზ ჩიტიაშვილი, ხაშურის მუნიციპალიტეტის მერი

ხაშურის მუნიციპალიტეტის მერმა თენგიზ ჩიტიაშვილმა, პირველი მოადგილის თანამდებობაზე, გიორგი პაპიაშვილი წარადგინა

გასულ კვირას, ადმინისტრაციული სახლის სხდომათა დარბაზში, მუნიციპალიტეტის მერმა თენგო ჩიტიაშვილმა მერის პირველი მოადგილის თანამდებობაზე გიორგი პაპიაშვილი წარადგინა.

მან, ასევე, მადლობა გადაუხადა ზვიად ქურდაძეს მაღალპროფესიული შრომისა და ხალხის სამსახურისთვის და მადლობის სიგელი გადასცა.

შეხვედრას ესწრებოდნენ ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ნინო ლიპარტელიანი, მერის მოადგილე ზვიად გოგუაძე, სამსახურების, განყოფილების და ადმინისტრაციული ერთეულის ხელმძღვანელები.

„მინდა ოფიციალურად წარგიდგინოთ მერის პირველი მოადგილე გიორგი პაპიაშვილი, ახალგაზრდა, პატიოსანი, პატრიოტი ხაშურელი კაცი, რომელიც თავის საქმიანობას უკვე შეუდგა. მისი საკურატორო

მიმართულებები იქნება ინფრასტრუქტურის, საფინანსო-საბიუჯეტო, ზედამხედველობის, არქიტექტურისა და შესაბამისი ა(ა)იპ სამსახურები. წარმატებები მინდა ვუსურვო გიორგის და აგრეთვე, მინდა მადლობა გადავუხადო ზვიად ქურდაძეს გაწეული სამსახურისთვის. ზვიადმა, ხელმძღვანელ თანამდებობაზე იმუშავა 7 წელი, ერთი წელი ასრულებდა მერის მოვალეობასაც. ზვიადი არის პროფესიონალი, ამიტომ მინდა სიმბოლური საჩუქარი გადავცე პირადად ჩემგან, სამადლობელი სიგელი მაღალპროფესიული შრომისა და ხალხის სამსახურისთვის, ხოლო თანამშრომლების სახელით-მადლობის წერილი." აღნიშნა შეხვედრაზე ხაშურის მუნიციპალიტეტის მერმა.

„ დიდ მადლობას ვუხდი ბატონ ზვიად ქურდაძეს, მისი უდიდესი პროფესიონალიზმისთვის და მრავალწლიანი გაწეული სამსახურისთვის.

გიორგის მინდა, წარმატებები ვუსურვო, ის არის საუკეთესო საჯარო მოხელე. შეუდგა ძალიან რთულ და საპასუხისმგებლო საქმიანობას. ვულოცავ მთელ გუნდს შესანიშნავი და პროფესიონალი კადრის მოსვლას." -აღნიშნა საკრებულოს თავმჯდომარე ნინო ლიპარტელიანმა.

აღსანიშნავია ისიც, რომ ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარებისა და კეთილმოწყობის სამსახურის უფროსის მოვალეობას, ამ ეტაპზე, ვეფხია ბლიაძე შეასრულებს.

გიორგი პაპიაშვილი

გიორგი პაპიაშვილი დაიბადა 1990 წლის 26 მაისს.

2008- 2012 წლებში სწავლობდა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში, სამართლის ფაკულტეტზე, მიენიჭა სამართლის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი.

2013 -2015 წლებში მუშაობდა ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობის ინფრასტრუქტურის განვითარების და ტერიტორიის კეთილმოწყობის სამსახურში სხვადასხვა თანამდებობებზე.

2015 წლის 11 მაისიდან დაინიშნა ხაშურის მინიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური განვითარების სამსახურის ინფრასტრუქტურის განვითარებისა და კეთიმოწყობის განყოფილების უფროსის თანამდებობაზე.

2017 წლის 18 დეკემბრიდან მისი თანამდებობა განისაზღვრა ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახურის ინფრასტრუქტურის განვითარების და კეთილმოწყობის განყოფილების ხელმძღვანელის თანამდებობად.

2022 წლის 28 ნოემბრიდან დაინიშნა ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარების და კეთილმოწყობის სამსახურის ხელმძღვანელის თანამდებობაზე.

2025 წლის 10 მარტიდან დაინიშნა ხაშურის მუნიციპალიტეტის მერის პირველ მოადგილედ.

ჰყავს მეუღლე და ორი შვილი

ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარებისა და კეთილმოწყობის სამსახურის მიერ 2024 წელს გაწეული მუშაობის ანგარიში

ინფრასტრუქტურის განვითარებისა და კეთილმოწყობის სამსახური მუშაობს ინფრასტრუქტრული პროექტების შემუშავებაზე და ახორციელებს დაგეგმილი ინფრასტრუქტურული პროექტების მიმდინარეობის მონიტორინგს და შეფასებას, ასევე, ობიექტის მიღება-ჩაბარების მიზნით, თითოეული ინფრასტრუქტურული პროექტის ხელშეკრულების პირობების შესრულებაზე კონტროლის ზედამხედველობას, შემოსულ კორესპონდენციებზე რეაგირებას. სამსახურში დასაქმებულია 12 მოსამსახურე, მათ შორის 5 შტატგარეშე მოსამსახურე.

ხაშურის მუნიციპალიტეტში 2024 წელს განხორციელებული/მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტები :

საქართველოს მთავრობის 2023 წლის 28 დეკემბრის N2402 განკარგულების „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“ საფუძველზე, საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის დაფინანსება შეადგენს 9 882 660 ლარს (თანადაფინანსება 870 003 ლარი):

დაბა სურამში, ტაბიძის ქუჩის მეორე მონაკვეთზე ასფალტო-ბეტონის გზების მოწყობა (დასრულება);

სოფელ ქინძათისა და სოფელ დუმაცხოვის დამაკავშირებელი გზის მოასფალტება (დასრულება);

სოფელ უწლევში მისასვლელ გზაზე ბეტონის საფარის მოწყობა (მიმდინარე);

სოფელ ქვიშხეთში მე-5 და მე-8 ქუჩების გზების მოასფალტება და დაბა სურამში, იტრიაში მამათა მონასტერთან მისასვლელი საავტომობილო გზის ბეტონის საფარის მოწყობა (დასრულება);

ქალაქ ხაშურში, ახალციხის ქუჩის N6 და N50 მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების სახურავების რაბილიტაცია (დასრულება);

დაბა სურამში, სარაჯიშვილის ქუჩის N6 მრავალბინიანი საცხოვრებელი



სახლის სახურავის რაბილიტაცია (დასრულება),

სოფელ ახალსოფელში გზის მოასფალტება (დასრულება),

სოფელ ალიდან სოფელ ნაბახტევისკენ მისასვლელი გზის რეაბილიტაცია (მიმდინარე),

ქალაქ ხაშურში, თამარ მეფის ქუჩის N3, N4 და N5 მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების სახურავების რეაბილიტაცია (დასრულება);

სოფელ ტეზერში, ბეტონის საფარის მოწყობა (დასრულება);

სოფელ თაგვეთში, დაზიანებული გზის გასწვრივ გზის ნაპირსამაგრი/ ნაპირდამცავი კედლის (გაბიონის) მოწყობა (დასრულება);

სოფელ ქვიშხეთში, მჭედლიშვილების უბანში გზის მოასფალტება (დასრულება);

სოფელ წრომში, და სოფელ ზეკოტაში ასფალტო-ბეტონის გზების მოწყობა (დასრულება);

სოფელ ცხრამუხაში, (მე-2 და მე-11 ქუჩები) შიდა გზების მოასფალტება (დასრულება);

ქალაქ ხაშურში, ყაზბეგის ქუჩის მონაკვეთის მოასფალტება (მიმდინარე);

ქალაქ ხაშურში, შალვა დადიანის ქუჩის გზის რეაბილიტაცია (მიმდინარე);

დაბა სურამში, ფიროსმანის ქუჩაზე (პოლიციის მიმდებარედ) სკვერის მოწყობა (მიმდინარე);

ქალაქ ხაშურში შინდარის დასახლებაში სკვერის მოწყობა (მიმდინარე);

ქ. ხაშურში, მდინარე შოლას მარცხენა სანაპიროს ნაპირსამაგრი კედლის მოწყობა (მიმდინარე);

ხაშურის მუნიციპალიტეტის დაბა სურამში ბუღაურის დასახლებაში გზის რეაბილიტაცია (მიმდინარე);

საქართველოს მთავრობის 2023 წლის 28 დეკემბრის N2400 განკარგულების „სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების თაობაზე“ საუძველზე დაფინანსება შეადგენს 2 195 000 ლარს:

სოფელ ნაბახტევში მდინარე ჭერათხევზე საავტომობილო ხიდის მოწყობა (დასრულება);

სოფელ სატივეში გზის დამცავი კედლის მოწყობა (დასრულება);

სოფელ ნაბახტევის გზის დამცავი კედლის მოწყობა (დასრულება);

ადგილობრივი ბიუჯეტით განხორციელდა/მიმდინარეობს შემდეგი ინფრასტრუქტურული პროექტები (11 006 752 ლარი):

ქალაქ ხაშურში, შინდარის დასახლებაში და დაბა სურამში, ბუღაურის დასახლებაში საბავშვო ატრაქციონების მოწყობა (დასრულება);

მდინარე სურამულაზე დაზიანებული ნაპირსამაგრი/ნაპირდამცავი კედლის მშენებლობა/რეაბილიტაცია (დასრულება);

სოფელ ქვიშხეთში, ლაცაბიძეების უბანში, გზის დამცავი კედლის მოწყობა (დასრულება);

სოფელ წაღვლში, სკვერის მოწყობა (დასრულება);

ქალაქ ხაშურში, სარაჯიშვილის ქუჩის მონაკვეთზე საკანალიზაციო ქსელის რეაბილიტაცია (დასრულება);

დაბა სურამში, ცენტრალურ სტადიონზე, დაზიანებული ტრიბუნების დემონტაჟის და დამცავი კედლის მოწყობა, სადრენაჟე სისტემის მოწყობა და გასახდელების რეაბილიტაცია (მიმდინარე);

დაბა სურამში, სპორტული მოედნის მიმდებარე ფერდსამაგრი კედლის მშენებლობა (დასრულება);

ქალაქ ხაშურში, „ზემო სერის“ ტყე-პარკის რეაბილიტაცია - მესამე ეტაპი (დასრულება);

ქალაქ ხაშურში, „ზემო სერის“ ტყე-პარკის რეაბილიტაცია - მეორე ეტაპი (დასრულება);

დაბა სურამში, შიდა საუბნო გზის (კაკალათხევის დასახლება) რეაბილიტაცია (დასრულება);

სოფელ ტეზერში მე-2 ქუჩის გზის (სოფელი ყიფიაანთუბანი) რეაბილიტაცია (დასრულება);

დაბა სურამში, ამაღლების ქუჩაზე და სოფელ ტკოცაში, სანიაღვრე არხების მოწყობა (დასრულება);

ქალაქ ხაშურში, შუშის ქარხნის დასახლება ბინა №13-ში მდებარე, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის სახურავის მოწყობა (დასრულება);

ქალაქ ხაშურში, შუშის ქარხნის დასახლება, ბინა №2-ში მდებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის სახურავის მოწყობის და ქალაქ ხაშურში, ბორჯომის ქუჩა, ბინა №46-ში მდებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის სახურავის რეაბილიტაცია (დასრულება);

სოფელ დიდ ფლევში გარე საჭიდაო მოედნის რეაბილიტაცია (დასრულება);

ქალაქ ხაშურში თამარ მეფის ქუჩა N9-ის მიმდებარედ (მშენებარე იუსტიციის სახლი) ავტოსადგომისათვის ასფალტის საფარის მოწყობა (დასრულება);

სოფელ ცხრამუხაში შიდა გზების მოსფალტება - ხმალაძეების უბანი (დასრულება);

სოფელ ცხრამუხაში შიდა გზების მოსფალტება - ეკლესიამდე მისასვლელი გზა (მიმდინარე);

ქალაქ ხაშურის და სოფელ ზემო ოსიაურის დამაკავშირებელი საავტომობილო ხიდის დემონტაჟი (დასრულება);

სოფელ წაბლოვანაში და სოფელ ცედანში მისასვლელი საავტომობილო გზის მოასფალტება;

მდინარე სურამულას კალაპოტის გაწმენდა (დასრულება);

ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე (ქ. ხაშური მდინარე შოლას მონაკვეთი) დაზიანებული ნაპირსამაგრი/ ნაპირდამცავი კედლების მშენებლობა/რეაბილიტაცია - (მიმდინარე);

მდინარე შოლას კალაპოტის გაწმენდა (დასრულება);

დაბა სურამში, ჩუმათელეთის და იტრიის დასახლებაში 2 ცალი სასმელი წყლის ჭაბურღილის, საქლორატოროს და სასმელი წყლის ქსელის მოწყობა (დასრულება);

ხაშურის კულტურის სახლის რეაბილიტაცია (დასრულებული - მიმდინარეობს ინსპექტირების დოკუმენტაციის მომზადება);

დაბა სურამში, ყოფილი კინოთეატრის შენობის რეკონსტრუქცია-რეაბილიტაცია (მიმდინარე);

ქ. ხაშურში, ყოფ. სანერგე მეურნეობის ტერიტორიაზე მინი სტადიონის და სკვერის მოწყობა (დასრულება);

სოფ. ტეზერში, მინი სტადიონის და სკვერის მოწყობა (დასრულება);

სოფლის მხარდაჭერის პოგრამის ფარგლებში (საქართველოს მთავრობის 2023 წლის 28 დეკემბრის №2401 განკარგულება) განხორციელდა 904 000 ლარის (თანადაფინანსება - 700 000 ლარი) ღირებულების ინფრასტრუქტურული პროექტები. ასევე მიმდინარეობს;ქ. ხაშურის მე-2 საჯარო სკოლის რეაბილიტაცია;

ქ. ხაშურის N4 საჯარო სკოლის მშენებლობა;

დაბა სურამში, საბავშვო ბაღის მშენებლობა;

სოფ. ცხრამუხაში, საბავშვო ბაღის მშენებლობა.

გიორგი პაპიაშვილი,
ინფრასტრუქტურის განვითარებისა და
კეთილმოწყობის სამსახურის უფროსი

ხაშურის მუნიციპალიტეტში სოფლის მხარდაჭერის პროგრამით გათვალისწინებული პროექტები 2025 წელს

№	ტერიტორიული ერთეული	დასახლების სახელწოდება	საპროექტო წინადადება	პროექტის საორიენტაციო ზღვრული ღირებულება, ლარი		პროექტის საორიენტაციო ზღვრული ღირებულება, ლარი
1	ალი	ალი	სასმელი წყლის სატავე ნაგებობის რეაბილიტაცია და მაგისტრალის მოწყობა	8000	2	20 000,00
2		ბრილი	შიდა გზაზე ბეტონის საფარის მოწყობა			12 000,00
3		ახალუბანი	შიდა გზაზე ბეტონის საფარის მოწყობა	10000	2	10 000,00
4		დუმაცხოვი	სანიაღვრე არხის მოწყობა	5000	2	10 000,00
5		ზემო აძვისი	სანიაღვრე არხის მოწყობა	10000	2	10 000,00
6		კლდისწყარო	ბეტონის საფარის მოწყობა			10 000,00
7		ცხეთიჯვარი	სასმელი წყლის სათავე ნაგებობის და მაგისტრალის მოწყობა			10 000,00
8		უწლევი	სანიაღვრე არხის მოწყობა			10 000,00
9		ნაბახტევი	სასაფლაოზე მისასვლელ გზაზე ბეტონის საფარის მოწყობა			16 000,00
10		ქინძათი	სასმელი წყლის სათავე ნაგებობის და მაგისტრალის მოწყობა	#REF!		12 000,00
ჯამი:						120 000,00
11	გომი	გომი	საწრეტი არხის გაწმენდა			20 000,00
12		ხიდის ყური	შიდა საწრეტი არხის გაწმენდა			10 000,00
13		ვაყა	თავშეყრის ადგილის მოწყობა			20 000,00
14		ქვემო აძვისი	სკვერის მოწყობა			10 000,00
15		დიდი სატივე	ხიდის მოწყობა			12 000,00
16		პატარა სატივე	გარე განათების მოწყობა			10 000,00
17		აგარები	მინი სტადიონის მოწყობის დასრულება			10 000,00
ჯამი:						92 000,00
18	ოსიაური	ზემო ოსიაური	ქვემო უბნის სკვერში და ზემო უბნის სკვერში საბავშვო ატრაქციონების მოწყობა			20 000,00
19		ქვემო ოსიაური	"ბატონის ბაღის"ბაღში მცირე ზომის საჩოგბურთო კორტის მოწყობა			16 000,00
20		ახალსოფელი	სკვერის შემოღობვა, განათების სისტემის მოწტობა, სკამების, სანაგვე ურნების და სასეირნო ბილიკის მოწყობა			10 000,00
			მდინარეზე არსებული ხიდის აღდგენა ან ახლის მოწყობა			
21		ნარუჯები	გარე განათების ქსელის მოწყობა და გზის მოხრეშვა			10 000,00
22		ღუდა	სასაფლაომდე მისასვლელი გზის მოხრეშვა			10 000,00
ჯამი:						66 000,00
23	დაბა სურამი	დიდი ბეკამი	სანიაღვრეების მოწყობა ლალუაშვილების უბანში	#REF!		10 000,00
24		პატარა ბეკამი	სოფლის შესასვლელში სანიაღვრის და გარე განათების მოწყობა			12 000,00
25		ურთხვა	არსებულ ცენტრალურ სკვერში ფილების დაგება	#REF!		10 000,00
26		ზეკოტა	არსებულ სანიაღვრეებზე რკინის ცხაურების დაგება			10 000,00
27		ბიჯნისი	ცენტრალურ მოედანთან მდ. ბიჯნისულაზე მდებარე ხიდის რეკონსტრუქცია - მოაჯირების შეცვლა და გარე განათების მოწყობა			12 000,00
28		დაბა სურამი	გვერდისუბნის დასახლებაში სკვერის მოწყობა			20 000,00
ჯამი:				10 000,00		74 000,00
29	ფლევი	დიდი ფლევი	ატრაქციონების მოწყობა	2	######	12 000,00
30		პატარა ფლევი	მინი სტადიონის მოწყობა			10 000,00
31		ნაცარგორა	სასაფლაოს შემოღობვა			12 000,00
32		ტკოცა	ატრაქციონების მოწყობა			16 000,00
ჯამი:						50 000,00
33	ქვიშხეთი	ქვიშხეთი	სასაფლაომდე მისასვლელი გზის დაბეტონება (ცუცქირიძეების უბანი)			20 000,00
34		ტაშისკარი	ფანჩატურის მოწყობა			12 000,00
35		მონასტერი	სანიაღვრე არხის მოწყობა (გაგრძელება)			10 000,00
36		ბელლეთი	ბეტონის გზის დაგება			10 000,00
37		ულბულისციხ	ბეტონის გზის მოწყობა (გელაშვილების უბანი)			10 000,00
38		სათივე	მინი სტადიონის მოწყობა	5000	2	10 000,00
39		სარმანიშვილ ისკარი	ბეტონის გზის მოწყობა			10 000,00
40		ტეზერი	სასაფლაომდე მისასვლელი გზის მოწყობა			16 000,00
41		ყიფიაანთუბა ნი	ჯერის მოწყობა (ზედა ყიფიანთუბანი)			12 000,00
42		სავანისუბანი	შიდა გზის ბეტონის საფარის მოწყობა (გაგრძელება)			12 000,00
43		რუსაანთუბანი	ბეტონის კედლის ჩასხმა			10 000,00

ჯამი:						132 000,00
44	ცხრამუხა	ცხრამუხა	სკვერის მოწყობა ერთერთ უბანში			20 000,00
45		თაგვეთი	ბეტონის გზის მოწყობა			10 000,00
46		რბონა	ბეტონის გზის მოწყობა			10 000,00
47		დამჩხეულა	ბეტონის გზის მოწყობა			10 000,00
48		ქაშვეთი	ბეტონის გზის მოწყობა			10 000,00
49		ჯვართმუხა	ბეტონის გზის მოწყობა			10 000,00
50		კოდისწყარო	სასმელი წყლის სისტემის მოწყობა	#REF!		10 000,00
ჯამი:				10 000,00		80 000,00
51	ცოცხნარა	ქემფერი	გარე განათების მოწყობა	10 000,00		12 000,00
52			შიდა სასოფლო გზების დახრეშვა			
52		ცოცხნარა	ბეტონის საფარიანი გზის მოწყობა	10 000,00		12 000,00
53		წაბლოვანა	შიდა სასოფლო გზების მოხრეშვა	#REF!		10 000,00
55		ცედანი	ბეტონის საფარიანი გზის მოწყობა	#REF!		10 000,00
56		ოძისი	ბეტონის საფარიანი გზის მოწყობა	5000	2	10 000,00
57		ცივწყარო	ბეტონის საფარიანი გზის მოწყობა			10 000,00
ჯამი:				5000	2	64 000,00
58	წაღვლი	წაღვლი	სოფლის შიდა გზების მოხრეშვა			16 000,00
59		კლდისწყარო	სოფლის შიდა გზების მოხრეშვა			10 000,00
60		ქვემო ბროლოსანი	სანიაღვრე არხის მოწყობა			10 000,00
61		ზემო ბროლოსანი	სოფელთან მისასვლელ გზაზე ბეტონის საფარის დაგების დასრულება			10 000,00
62		ჩორჩანა	მინისტადიონის მშენებლობის დასრულება			10 000,00
63		წეღვერი	შიდა გზების მოხრეშვა			10 000,00
64		ბიტვინისწყარო	სოფელთან მისასვლელი გზის მოხრეშვა			10 000,00
ჯამი:						76 000,00
65	წრომი	წრომი	სასაფლაომდე მისასვლელი გზის ბეტონის საფარით მოწყობა			12 000,00
66		ახალშენი	სკვერის მოწყობა			10 000,00
67		ნადარბაზევი	ბეტონის გზის დაგება			10 000,00
68		ბმერლიანთკარი	ბეტონის გზის დაგება			10 000,00
69		დიდი ყელეთი	სოფლის შიდა გზების მოხრეშვა			10 000,00
70		პატარა ყელეთი	ბეტონის საფარის დაგება			10 000,00
ჯამი:						62 000,00
71	ხცისი	ხცისი	ძამანაშვილები-მსხალაძეების უბნის გზის მოასფალტება			16 000,00
72		მიწობი	ბეტონის საფარის გაგრძელება ზედა უბანში			12 000,00
73		კრისხევი	არსებული წყლის სისტემის რეაბილიტაცია			10 000,00
ჯამი:						38 000,00
74	ხალები	დიდი ხალები	სოფელში გამავალი ცენტრალური საავტომობილო გზის რეაბილიტაცია. ბეტონის საფარის მოწყობა გარკვეულ მონაკვეთზე			10 000,00
75		პატარა ხალები	სოფლამდე მისასვლელი საავტომობილო გზის დაზიანებული მონაკვეთის რეაბილიტაცია. ბეტონის საფარის მოწყობა			10 000,00
76		ღართა	სოფლამდე მისასვლელი საავტომობილო გზის მოხრეშვა დაზიანებულ მონაკვეთზე			10 000,00
77		სარტყელა	სოფელ ღართიდან სოფელ სარტყელამდე მისასვლელი საავტომობილო გზის მოხრეშვა			10 000,00
79		ღვრიაწყალი	სოფლამდე მისასვლელი გზის რეაბილიტაცია. ბეტონის დაგება საავტომობილო გზის გარკვეულ მონაკვეთზე			10 000,00
ჯამი:						50 000,00
სულ ჯამი:						904 000,00

სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის სხდომა

13 მარტს, სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიამ, მიხეილ ჯანაშვილის თავმჯდომარეობით, განიხილა განკარგულების პროექტი „საქართველოს მთავრობის 2018 წლის 28 დეკემბრის №654 დადგენილების საფუძველზე 2025 წელს ხაშურის მუნიციპალიტეტის დასახლებებში განსახორციელებელი სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში სოციალურ ეკონომიკური პროექტების ნუსხის დამტკიცების და პროგრამის განხორციელებისათვის საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხის განაწილების შესახებ“.

კომისიამ მიზანშეწონილად მიიჩნია საკითხის საკრებულოს რიგგარეშე სხდომაზე გატანა.

კომისიამ, ასევე განხილა ინიციატივა ე.წ. აეროდრომის დასახლებაში მდებარე უსახელო ქუჩისათვის „მთავარანგელოზთა” ქუჩის სახელის მინიჭების თაობაზე.

ვრცლად სხდომის მასალები იხილეთ საკრებულოს ვებგვერდზე

ტოპონიმებში გაცოცხლებული ისტორიები

(გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ხმ“ 2023წ.#42, #43 2024წ.#2,#3, #4,5,6,7,8,9,10,11,12,15,15,17,18. #36,37,38,39,40,41,42,46,47. „ხმ“ 2025წ, #1,2,3,4,5,6,7,8).

საფუტკრე - ადგილი ჩრდილოეთის მხარეს. ,,ფუტკრები ჰყავდავ მოშენებული”.
საჩხუბარი - ადგ., მთა.

საჩხუბარის წყალი - მდინარე.

საჯვარე - ადგ., სალოცავი.

სვანები - ადგილი დასავლეთის მხრაეს. ,,ხეებს აცურებდნენ, დიდი სვანი და პატარა სვანი იყო, ორი სვანი იყო”.
ტილიანა - ღელე სამხრეთის მხარეს. უერთდება კობალაძის ღელეს. ,,პატარა არის და ამიტომ ეძახიან”.
ურთხვის სერი - ადგ., სერი, ჰყოფს ურთხვასა და ოძისს. ,,ურთხმელთან უნდა იყოს დაკავშირებული ურთხვა”.
ქვედა უბანი - ადგ; უბანი აღმოსავლეთის მხარეს, ეკლესიის ქვემოთ.
ქვედა უბნის წყარო - ადგ; იგივეა რაც მახარობლის წყარო.
ღვალას სერი - ადგ., სერი
ღვალაძეების მიწები - ადგ., სახნავი სამხრეთ-დასავლეთის მხარეს. ,,ღვალაძეების ეკუთვნოდა”.
ღვალაძეების ღელე - ადგ., ღელე დასავლეთის მხარეს. ,,ჩამოდის კონტრიშეებისა და ზედა უბნის შუაში. უერთდება კობალაძის ღელეს. კობალაძის ღელე მიდის ცოცხნარისკენ, ჩამოდის ქემფერში და უერთდება ტილიანას. გადმოცემით ღელის სათავეში უცხოვრიათ ღვალაძეებს. ამ ღვალაძის ღელის სათავეში არის დაჭაობებული ადგილი, რასაც ოძისში უძახიან რაჟდენის ტბას”. ,,ღვალაძეები ცხოვრობდნენ უწინ. ღელე არ არის. ადგილს ვეძახით”.

ღვალაღელე - ადგ; იგივეა, რაც ღვალაძეების ღელე.

შავღელე - ადგ; ღელე ჩრდილოეთის მხარეს. ორღელესთან ერთად უერთდება დიდ წყლს.

ჩიკვაიძისერი - ადგ., სახნავი ჩრდილო-დასავლეთის მხარეს.

ცხადაძის წყარო - ადგ; წყარო

ჭალამიწები - ადგ., სათესი

ხაროები - ადგილი ზედა უბანში, ივანე ნათლისმცემლის ეკლესიის გვერდით. ,,ორი დიდი ხაროა, პურის მარცვლის შესანახი”.

ხაჩიძეები - ადგ; უბანი
ხაჩიძეების მიწები - ადგ., სახნავი

ხლეწილები - ადგ., იგივეა რაც ბლიაძეების მიწები. ,,დანგრეული ადგილი იყო და ამიტომ ეძახიან ხლეწილებს”.

ჯაღიას მიწები - ადგ., სახნავი ჩრდილო-დასავლეთის მხარეს, ,,გელაშვილი იყო სერგო, მაგრამ ჯაღიას ეძახდნენ”.

ჯორეების წისქვილი - ადგ., ნაწისქვილარი ჩრდილო-დასავლეთის მხარეს. ,,გოგალაძეები იყვნენ”.

ჯღანას ახო - ადგ., სათესი, ახო.

სოფელი ქ ე მ ფ ე რ ი

ანჩაფიშვილის მამული//ანჩაფისშვილის მიწა - ადგ; 1767 წლი 26 აგვისტოს ეს მამული ერეკლე მეფემ სამეფო კარის წინაშე დამსახურებისათვის მურვანიშვილებს მისცა: ,,...როდესაც ქართლიდამ მომავალნი ვიყავით, დიღმის მინდორში ღამე ცოტა რამ ლეკი შემოგვხვდა. ღვთის მოწყალებით სასწრაფოდ დამარცხდნენ და ყათლანი დაემართათ. თქვენ სამნივ ძმანი ქაიხოსრო, ზურაბ და გოგია თან გვახლდით, კარგად გაისარჯენით, სამთავ თითო ლეკი დაგრჩათ და თავები მოგვართვით. ჩვენ, უწინდელი თქვენი ნამსახურობაც მოვიხსენეთ და ახლა ეს თქვენგან კარგად გარჯაც გავშინჯეთ. ამისდა საჯილდაოთ გიბოძეთ და დაგიმკვიდრეთ... ქემფე[რ]ს ამოვარდნილის ანჩაფიშვილის მამული, რისაც მქონებელი ყოფილა“.
1803 წლის 23 მაისს სურამელმა ჯანია შამელაშვილმა აღნიშნული მიწა მიჰყიდა ბერ ბლიაძეს: ,,..საშვილიშვილოთ გამოსადექი ნასყიდობის წიგნი და სიგელი დაგიწერეთ და მოგეცით ჩვენ, სურამელმა შამელასშვილმა ჯანიამა, ჩემა ძმისშვილმა კაცობამა, შვილმა ჩემა შალომამა, დავითამა, ელიშაყამა, ჩემა ძმისშვილის კაცობას შვილმა იოსებმა, მოშიამა, შვილისშვილმა ჩემა აბრამამა, შვილმა და მამავალმა სახლისა ჩვენისამა თქვენ, ბლიაძეს ბერსა, ძმასა შენსა შიოსა, შვილთა თქვენთა გიორგისა და ნინიასა, შვილთა და მამავალთა სახლისა თქვენისათა, კიდევ შვილთა თქვენთა მამუკასა და პავლიასა. ასე და ამა პირსა ზედან, მას ჟამს ოდენს დაგვეჭირა და მოგყიდეთ ჩვენგანაც ნასყიდი ქენფერს ანჩაფისშვილის დავითისა და ბეჟანისეული დღენახევრის მიწა, ზომით თვრამეტი მხარი, თავს შარამდინ, ბოლოს სამნამდინ. ერთი გვერდი ისევ ანჩაფისშვილის მიწის მიდგმამდინ, მეორე გვერდი ნონიასშვილის მიწის მიდგმამდინ“.

ატმები - ადგ., სახნავი სამხრეთის მხარეს.

ბეჟანას ახო - ადგ., სახნავი აღმოსავლეთის მხარეს. ,,ბეჟანა ლაბაძეს ეკუთვნოდა”. ბურგლეების წისქვილი - ადგ., ნაწისქვილარი სამხრეთის მხარეს.

გაშვებული ვენახები - ადგ., ნვენახარი ჩრდილოეთის მხარეს.
გიგოლა - ადგ., სახნავი აღმოსავლეთის მხარეს. ,,წყარო იყო, იქ სადაც გიგოლაა”.
გორა - ადგილი სამხრეთის მხარეს.
გრძელი მიწები - ადგ., სათესი.

დიდსერი - ადგ., სერი, ტყე.
დიდღელე - ადგ; ღელე ჩრდილოეთის მხარეს.

ვაკე - ადგ., სახნავი ჩრდილოეთის მხარეს.
ზედა წყარო - ადგ; იგივეა რაც ლომიძეების წყარო.

ზედა წყლის უბანი - ადგ; იგივეა, რაც ლომიძეების უბანი. ზელამოთხები - ადგ., საძოვარი აღმოსავლეთის მხარეს.

თომაბალახები - ადგ., სახნავი დასავლეთის მხარეს.

იელები - ადგილი დასავლეთის მხარეს. ,,იელის ბუჩქები ხარობს”.
კაკალათხევის სერი - ადგ; სერი სამხრეთის მხარეს.
კანტორის უბანი - ადგილი. ,,სოფლის აღმოსავლეთ ნაწილს ერქვა ადრე დღეს ეს უბანი არ არსებობს“.
კლდიელები - ადგ; უბანი დასავლეთის მხარეს. ,,ეს სახელი შეერქვა იმიტომ, რომ უბანი კლდეზე არის შეფენილი”.
კლდიელების სერი - ადგ., სათესი.

კოდა - ადგ., სახნავი ჩრდილოეთის მხარეს.
კოდისწყარო//კოდიწყარო - ადგ; წყარო ჩრდილოეთის მხარეს.

კონცხი - ადგილი ჩრდილოეთის მხარეს. ,,შემაღლებული ადგილია”.

კორანტყე - ადგ., სალოცავი აღმოსავლეთის მხარეს.

ლაბაძეების უბანი - ადგ; უბანი აღმოსავლეთის მხარეს. ,,კანტორის უბნის ნაწილია. სოფლის ბოლოში მდგარ მუხასთან, რომელიც წმინდა ადგილად არის მიჩნეული, ცხოვრება არ შეიძლებოდა. ამის გამო აქ მცხოვრებ მოსე ლაბაძეს მიუტოვებია ძველი საცხოვრებელი ადგილი და დასახლებულია იმ ადგილას, სადაც ეს უბანია. ამ პიროვნების გვარის მიხედვით კი უბანს ეს სახელი საერქვა”.

ლომიძეების უბანი - ადგ; უბანი.
ლომიძეების წყარო - ადგ; წყარო.
მულაძეების წყარო - ადგ; წყარო.

მუხა - ადგ., სალოცავი სამხრეთის მხარეს, ლაბაძეების უბანში.
ნათლისწყალი - ადგ; წყარო ჩრდილოეთის მხარეს.

ნარვანის ტყე - ადგ., ტყე დასავლეთის მხარეს. ,,სოფლიდან მოსახლეობა გადასახლდა ერთი კილომეტით დასავლეთით. თავიანთ დასახლებისთვის ნარვანი უწოდებიათ ტყის სახელწოდების მიხედვით“.

ნარვანი//ნარვანის უბანი - ადგ; უბანი დასავლეთის მხარეს. ხომ არ უნდა იყოს ნარუანი. ნარვანი მოიაზრება სოფელ ქემფრის უბნადაც, რადგან მოსახლეობა აქედან არის გადმოსული. აქ სახლობენ გვარები: გელაშვილი, გოგალაძე, ლაბაძე, ლომიძე, ქურდაძე... ნარვანთან ახლოს, სამხრეთით, მუხნარში შემორჩენილია წმინდა სამების ეკლესიის (წვერიანას საყდარი) ნანგრევები, რომელიც გვიანფეოდალური ხანით თარიღდება.

ნაფუზრები - ადგ., სახნავი დასავლეთის მხარეს.
ნესტორას წისქვილი - ადგ., ნაწისქვილარი სამხრეთ-აღმოსავლეთ მხარეს.
ორღობე - ადგ; გზა ჩრდილოეთის მხარეს. ,,ორ ღობეს შორის გამავალი გზა”.
ორწყალა//ორწყალები - ადგილი სამხრეთ-აღმოსავლეთის მხარეს. ,,ორი მდინარე - ტილიანა და ფრონე უერთდება ერთმანეთს”. ,,აქ ორი ტილიანა ერთდება”.
პავლეს ახო - ადგ., სახნავი აღმოსავლეთის მხარეს.
პანტების ფერდა - ადგილი ჩრდილოეთის მხარეს.

პატარა ღელე - ადგ; ღელე ჩრდილო-დასავლეთის მხარეს.
რგვალი მინდორი - ადგ., სათესი.

რუსებიანთ ღელე - ღელე ჩრდილოეთის მხარეს. იგივეა, რაც დიდღელე. ,,აქ ომის პერიოდში რუსი პარტიზანები /?/ მდგარან“.
საბრილო - ადგ., საძოვარი ჩრდილოეთის მხარეს.
სამმუხა - ადგილი აღმოსავლეთის მხარეს.
საყდრები - ადგილი ჩრდილოეთის მხარეს.
საჩინოს წყარო - ადგ; წყარო სოფლის ცენტრში. ,,გამოედინება იმ ადგილიდან, რომელიც საჩინო გოგიტაშვილს ეკუთვნოდა“.
სილამიწები - ადგ., სათესი აღმოსავლეთის მხარეს.

სოსანეები - ადგ; უბანი დასავლეთის მხარეს. ,,ადრე აქ სახლებულა სოსანა ლომიძე. მისი გარდაცვალების შემდეგ დაექვა ეს სახელი უბანს”.

ტილიანა - მდინარე სოფელში. ვახუშტი ბატონიშვილის “აღწერაში” დაფიქსირებულია ქემერტის წყლად. ასევე რუკაზეც დღევანდელი ქემფერის ადგილზე ნაჩვენები აქვს ქემერტი. ,,ოსიაურს ზეით, ხაშურს ერთვის სურამის-წყალს ქემერტის-წყალი აღმოსავლეტიდამ. გამოდის ლიხის მთას”

. ვფიქრობთ, ვახუშტი გარკვეულ უზუსტოას უშვებს. ქემერტის წყალში მდ. ტილინა უნდა ვიგულისხმოთ. მხოლოდ ვახუშტი და, როგორც ჩანს მასზე დაყრდნობით, იოანე ბაგრატიონი, ასახელებენ ქემერტს და ქემერტის წყალს. სხვაგან გვხვდება ქემფერი. ქემერტის სახელწოდებით ცნობილი დასახლებული პუნქტი სხვაგან, კერძოდ ცხინვალის რეგიონში მდებარეობს.

უჯრედაული - ადგ., სათესი.

ფრიების წისქვილი - ადგ; იგივეა რაც ბურგალეების წისქვილი.
ფრონე - მდინარე სოფელში. მდ. ტილიანას მარცხენა შენაკადი.

ქარიმიწები - ადგ., სხნავი სამხრეთ-აღმოსავლეთის მხარეს.

ქემფერის წყალი - იხ. ტილიანა
ქოჩორა ტყე - ადგ., ტყე დასავლეთის მხარეს.

ჩიტოს წისქვილი - ადგ., ნაწისქვილარი ჩრდილოეთის მხარეს.

ცედნელების დიდღელე - ადგ., საძოვარი აღმოსავლეთის მხარეს.

ცივი - ადგ., ტყე ჩრდილო-დასავლეთის მხარეს.

წვერიანა - ადგილი, სალოცავი, ნაეკლესიარი ნარვანის სამხრეთ-აღმოსავლეთის მხარეს, 300-400 მეტრში, მუხნარში. თარიღდება გვიანდელი ფეოდალური ხანით .
წმინდა გიორგის ეკლესია - ადგილი, სალოცავი დასავლეთის მხარეს. ეკლესია აგებულია 1880 წელს.
ჭალა - ადგილი სამხრეთის მხარეს.

ჭაობი - ადგილი სამხრეთის მხარეს. “დაჭაობებული ადგილია”.

ჭინჭრიგორა - ადგ., ნაძვნარი ჩრდილოეთის მხარეს.

სოფელი ც ე დ ა ნ ი

გადმოშვებული წყალი - ადგ., საძოვარი დასავლეთის მხარეს.

დიდმინდვრები - ადგ., სათესი.

დიდმიწა - ადგ., მინდორი დასავლეთის მხარეს.

დიდსერი - ადგ., სერი, ტყე

დიდსერიტყე - ადგ., ტყე.

დისრის სერი- ადგ., საძოვარი ჩრდილო-დასავლეთის მხარეს. ,,აქ გაშენებულია ნაძვნარი”.

ზავოდღელე - ადგ; ღელე ჩრდილოეთის მხარეს. ,,ეხლა ვენახებია იქ. სახელი მიუღია იქ არსეული კირის საწავი ქარხნიდან”.
ზედა უბანი - ადგ; უბანი.

ზედა უბნის წყალი//ზედა უბნის წყარო - ადგ; წყარო

ზემოთხევი - ადგ., სათესი.

თაფსხალა - ადგ; ღელე დასავლეთის მხარეს. ,,აქ არის სათავე მდ. ფრონისა”.
ილიკოს ნასახლარი - ადგ., ვენახი

იორდანეს წყარო - ადგ; წყარო ქვედა უბანში.

კაკლების მიწა - ადგ., მინდორი დასავლეთის მხარეს.

თამაზ ლაცაბიძე

(გაგრძელება იქნება)

დღესასწაული მიულოცეს

ხაშურის მუნიციპალიტეტის მერმა თენგიზ ჩიტიაშვილმა, მერის მოადგილე ზვიად გოგუაძემ და მერიის განათლების, კულტურის და სპორტის სამსახურის წარმომადგენლებმა გაზაფხულის დღესასწაული - ქალთა საერთაშორისო სოლიდარობის დღე მიულოცეს მცირე საოჯახო ტიპის ბავშვთა სახლებში და შპს აღმოსავლეთ საქართველოს ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრის სურამის ფსიქიატრიულ საავადმყოფოში დასაქმებულ ქალთა პერსონალს.

„საზოგადოებისა და ქვეყნის განვითარებაში ქალის როლი საქართველოში ყოველთვის დაფასებული იყო. თითოეულ თქვენგანს და ყველა ქალბატონს ვუსურვებ მშვიდობას, ბედნიერებას და დიდ წარმატებას“-აღნიშნა მუნიციპალიტეტის მერმა თენგიზ ჩიტიაშვილმა

მერიის განათლების, კულტურის და სპორტის სამსახურის მიერ ორგანიზებული ღონისძიება ტრადიციულ სახეს ატარებს და ყოველ წელს სხვადასხვა პროფესიის ქალთა წახალისებას ემსახურება.

ხაშურის მუნიციპალიტეტში, სააღმზრდელო დაწესებულებების მშენებლობა მიმდინარეობს

„დაბა სურამსა და სოფელ ცხრამუხას, ახალი საბავშვო ბაღები ექნებათ. ცხრამუხაში არსებული საბავშვო ბაღი ავარიული იყო, ამიტომაც ახალი სააღმზრდელო დაწესებულების მშენებლობა გადაწყდა. რაც შეეხება დაბა სურამს, ბავშვების რაოდენობიდან გამომდინარე, საჭირო გახდა, დამატებით ბაღის მშენებლობა. ახალი შენობები, თანამედროვე სტანდარტებს სრულად უპასუხებს, რაც მომავალი თაობების აღზრდა-განვითარებისთვის მნიშვნელოვანი წინაპირობაა. “ -აღნიშნა სამუშაოების დათვალიერებისას ხაშურის მუნიციპალიტეტის მერმა თენგიზ ჩიტიაშვილმა.

მერთან ერთად, ადგილზე იმყოფებოდნენ მერის პირველი მოადგილე გიორგი პაპიაშვილი, მერის მოადგილე ზვიად გოგუაძე, და ა(ა)იპ „ხაშურის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების - საბავშვო ბაღების გაერთიანების დირექტორი ლელა გელაშვილი. მათი განმარტებით, ცხრამუხის საბავშვო ბაღი 100 აღსაზრდელზეა გათვლილი, სურამის საბავშვო ბაღი-დაახლოებით, 200 აღსაზრდელს მიიღებს. რაც შეეხება მშენებლობის პროცესს, მაისის ბოლოსთვის დასრულდება.

ლუკა ლაცაბიძეს ეროვნულ ნაკრებში უხმეს

სომხეთის ნაკრებთან გასამართი ორი შეხვედრისათვის (20 - 23 მარტი), ფეხბურთში, საქართველოს ნაკრების უფროსმა მწვრთნელმა ვილი სანიოლმა ნაკრების შემადგენლობა დაასახელა. სასიამოვნოა, რომ 22 კაციან სიაში ჩვენი სასპორტო სკოლის და შემდეგ „დინამოს“ აკადემიის აღზრდილი ლუკა

ლაცაბიძეცაა. ხაშურელი ფეხბურთელი, რომელიც დღეს დონეცკის „შახტარის“ საკუთრებაა და იჯარით ოდესის „ჩერნომორეცშია“, პირველადაა გამოძახებული ნაკრებში. მანამდე ლუკამ საქართველოს ყველა ასაკობრივ ნაკრებშიც ითამაშა და აი, მწვერვალიც: ლუკა ეროვნული ნაკრების წევრია. როდესაც ტალანტი და დაუღალავი შრომა სინქრონშია, შედეგი ყოველთვის დადგება და ამის ერთ-ერთი მაგალითი ლუკაცაა. ეს ფაქტი კი, იმედია, მაგალითი გახდება სხვა ხაშურელი ჭაბუკი ფეხბურთელებისათვის, რომელთა ოცნება, რა თქმა უნდა, ნაკრებში მოხვედრა უნდა იყოს.

ასე, რომ გზა დავულოცოთ ლუკას. გვჯერა, ეს აღიარება ტრამპლინი გახდება მისთვის და ვინძლო, უახლოეს მომავალში მისით ევროპის ტოპგუნდებიც დაინტერესდნენ.

წინ, ლუკა! გვიყვარხარ და გვეამაყები!

ჭაბუკ მოჭიდავეთა წარმატება

ხაშურის კომპლექსური სასპორტო სკოლის თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა გუნდმა კიდევ ერთხელ იყოჩაღა და მცხეთის რაიონ სოფელ მისაქციელში გამართული ტურნირიდან მედლებით დახუნძლული დაბრუნდა.

აღნიშნული შეჯიბრება საკმაოდ მაშტაბური იყო, მასში მონაწილეობას იღებდა 200 სპორტსმენი.

პირველობა არავის დაუთმეს და ჩემპიონები გახდნენ :

გიორგი გოგალაძე- 38 კგ.

ნიკოლოზ ლეჟავა - 44 კგ.

გაბრიელ ლეჟავა - 48 კგ.

გიორგი იმერლიშვილი - 38 კგ.

ანზორ თიბილოვი - 48 კგ.

ლაზარე ლომიძე - (+) 52 კგ.

იოანე ჭიღლაშვილი - 38 კგ.

თორნიკე ბასიშვილი - 52 კგ.

ნიკოლოზ ტალახაძე - 60 კგ.

გილოცავთ, ბიჭებო, და კიდევ მრავალჯერ გესახელებინოთ ხაშურის მუნიციპალიტეტი და კომპლექსური სასპორტო სკოლა.

ოჯახის უახლოესი მეგობრები იზო პაქსაშვილი, ლენა კაპანაძე, თამრიკო ჯაფარაშვილი, ნათელა ალბრეხტი, გივი ხვედელიძე, მალხაზ ჭყოიძე, რეზო ინასარიძე, ვაჟა კორკოტაძე, ჯემალ გელაშვილი, რობერტ სუხიაშვილი, იური ლომიძე ოჯახებით ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

მაია გრედის ასული თიკანაშვილი

და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს

ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის გაზეთი „ხაშურის მოამბე“. დირექტორი და გაზეთის რედაქტორი გიორგი გოგალაძე, მისამართი: ხაშური, ტაბიძის ქუჩა №2. ტელეფონი: 24 30 27.
E-mail Khashurismoambe2015@gmail.com მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში, საიდენტიფიკაციო კოდი 443860984, სახელმწიფო ხაზინა TRESGE22, სახაზინო კოდი: 749547499.
D-ით მონიშნული სტატია იბეჭდება დაკვეთით გაზეთი იბეჭდება თბილისში.